ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. მარტის 31. № 6 ტფილისი

შინაარსი

სამოქალაქო სამართალი.

36. სანახაობათა წამოწყებების, კლუბებისა და სხვა პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საავტორო ჰონორარის გადახდის წესის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

37. 1936 წლისთვის საირიგაციო სისტემების საგაზაფხულო გაწმენდისათვის საჭირო მუშაობის ჩატარების ვადების შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

38. ბეწვიან ნადირზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი.

39. „ავტოგზის" კავშირისა და საზოგადოებათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

40. „საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე" გამოცემული დადგენილებისათვის მე-2 მუხლის „ლ" პუნქტისა და მე-3[1] მუხლის დამატების შესახებ.

41. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე" გამოცემული დადგენილების 51, 91 და 112 მუხლების შეცვლის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

42. „I და II საფეხურის სკოლების საჭიროებისათვის სახსრის შეკრეფისა და შემოსული სახსრის ხარჯვის თაობაზე" „გამოცემული 1933 წლის ივნისის 21-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

43. ტფილისის რაიონის კომისის ტბის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონის დაწესების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

44. პერსონალური პენსიების დებულების მე-14 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სისხლის სამართალი.

45. ამნისტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთმეტი წლის თავის აღსანიშნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

36. დადგენილება ს.კ.ს.

სანახაობათა წამოწყებების, კლუბებისა და სხვა პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საავტორო ჰონორარის გადახდის წესის შესახებ.

სანახაობათა წამოწყებების, კულტურული დაწესებულებებისა და პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საავტორო ჰონორარის თავის დროზე გადახდის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სანახაობათა წამოწყებები, კულტურული დაწესებულებები და პროფესიონალური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ჰმართავენ წარმოდგენებს, კონცერტებს, კინოსეანსებს და სხვა სანახაობას, მოვალენი არიან, არა უგვიანეს ხუთი დღისა ყოველი გამართული წარმოდგენის შემდეგ, აცნობონ საავტორო უფლების დაცვის სათანადო ორგანოს მთელი წარმოდგენის პროგრამა და ზედმიწევნით აღნიშნონ:

ა) ყველა აღსრულებული ნაწარმოების სახელწოდება და ავტორი;

ბ) მიღებული შემოსავლის თანხა, ხოლო, უკეთუ წარმოდგენა უფასოა, აღმსრულებლებისათვის მიცემული თანხები.

2. ყველა სანახაობათა წამოწყებამ, კულტურულმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა გაუსწოროს ანგარიში საავტორო უფლების დაცვის სათანადო ორგანოს ამ უკანასკნელთან შეთანხმებულ ვადაზე, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

3. საავტორო უფლების დაცვის ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ სანახაობათა წამოწყებები, კლუბები და სხვა ორგანიზაციები სააღრიცხვო ფორმებით, რაც საჭიროა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ცნობების შესადგენად.

4. სანახაობათა წამოწყებების ხელმძღვანელთ და წარმოდგენების გამმართველთ ამა დადგენილების 1 მუხლის დარღვევისათვის უნდა დაეკისროთ ჯარიმა 100 მანეთამდე ან შრომა-გასწორების სამუშაოები ერთ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 14. № 121.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

37. დადგენილება ს.კ.ს.

1936 წლისთვის საირიგაციო სისტემების საგაზაფხულო გაწმენდისათვის საჭირო მუშაობის ჩატარების ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სარწყავი სისტემების საგაზაფხულო გაწმენდა 1936 წელს ჩატარებულ იქნას ქვემომდევნო ვადებზე ადგილობრივი კლიმატური და ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით:

ა) ბორჩალოს, ლუქსემბურგის, გურჯაანის, ქუთაისის, დახონის წყლის რაიონების და ალაზნის საინჟენერო სისტემაში—ა/წ. თებერვლის 15-დან მარტის 15-მდე;

ბ) ტფილისის, კასპის, გორის, სტალინისის, თელავის და საგარეჯოს წყლის რაიონებში—ა/წ. მარტის 1-დან მარტის 30-მდე;

გ) ახალციხის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის წყლის რაიონებში—ა/წ. მარტის 15-დან აპრილის 15-მდე.

2. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყოს არხების აღნიშნულ ვადაზე გაწმენდა მუშა-ძალით, სარაიონო წყალსამეურნეო ორგანოების გეგმებისა და განცხადების მიხედვით „ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 9-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 116; 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 333).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 15. № 131.
ტფილისი.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

38. დადგენილება ს.კ.ს.

ბეწვიან ნადირზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

განსაკუთრებით თბილი ამინდისა და საქართველოს სსრ დაბლობ რაიონებში ბეწვიანი ნადირის ბეწვის ცვლის დაწყების გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს ნადირობა ბეწვიან ნადირზე, ონავარი ნადირის გარდა (მგელი, ტურა, გარეული კატა, ფოცხვერი, დათვი, მაჩვი და აფთარი), 1936-37 წლის ახალი სანადირო სეზონის დაწყებამდე, საქართველოს სსრ შემდეგ რაიონებში: აბაშის, ბაღდადის, ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, მარტვილის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, ტფილისის, ფოთის, ქუთაისის, ყარაიას, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ხაშურის, ხობის, ხონისა და ჯუღელის რაიონებში და აჭარის ასსრ-ის დაბლობ ნაწილში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დააწესოს მუდმივი მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ხ. მგბუკე.**

1936 წ. თებერვლის 7. № 67.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

39. დადგენილება ს.კ.ს.

„ავტოგზის" კავშირისა და საზოგადოებათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სსრ კავშირის ავტოგზის" კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების "ავტოგზის" საზოგადოებათა ლიკვიდაციის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 56 №-ი, მუხ. 459), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1. 1929 წ. იანვრის 29-ისა—„საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზათა გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების („ავტოგზა") ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 36 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 180-კარი II, პუნ. 10);

2. 1929 წ. ოქტომბრის 22-ისა—„საქართველოს სსრ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ საზოგადოება „ავტოგზისათვის" არასაჭირო საავტო-საგზაო ქონების გადაცემის შესახებ"(საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 249);

3. 1934 წ. ივლისის 28-ისა—„სასწავლო მიზნებისათვის საზ. „ავტო-გზის „ორგანიზაციების სადგომებით და ავტომანქანებით უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 28 №-ი, მუხ. 213).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936. წ. თებერვლის 9. № 103.
ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

40. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტისა და მე-3¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 8-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 25 №-ი, მუხ. 1951) დაემატოს მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტი და მე-3¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

ა) მუხ. 2, პ. „ლ“ „საშტატო განყოფილება“.

ბ) „3¹. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან საშტატო კომისია“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1936 წ. თებერვლის 13. № 121.
ტფილისი.

---

41. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 51, 91 და 112 მუხლების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების შესაბამისად (გამწესრ. სხდ. მე-12 №-ის ოქმი, § 23), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 15-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წ. საოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139, 25 №-ი, მუხ. 196, 31 №-ი მუხ. 236; 33 №-ი მუხ. 247; 1935 წ. 23 №-ი, მუხ. 133), რომლის მოქმედებაც განგრძობილ იქნა 1935 წლისთვის, შემდეგი ცვლილება:

1. 51 მუხლის ცხრილში—„ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების შემოსავლიანობის ნორმები“ (1935 წ. ივნისის 8-ის თარიღის და 731 №-ისა და 1935 წ. ივლისის 17-ის თარიღის და 942 №-ის დადგენილებათა რედაქციით—საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 18, მუხ. 112, № 23, მუხ. 193) სვეტი აღინიშნოს შემდეგნაირად: „ხარი (დაკოდილი და დაუკოდავი) და კამეჩი“.

2. 91 მუხლში:

ა) მე-II კარის შენიშვნა მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** უკეთუ მეურნეობას შრომაუნარიანი მამაკაცი არა ჰყავს (ქვრივის, ობლის, ინვალიდის, მოსწავლის მეურნეობა), ან უკეთუ შრომაუნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია ნა წითელ არმიაშია, ერთი სასეზონო მუშის ყოლა არ ჩაითვლება ისეთ საბაბად, რომ ეს მეურნეობა ინდივიდუალური წესით დაიბეგროს“;

ბ) მე-VII კარი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ის მეურნეობა, რომელიც სამრეწველო ან სავაჭრო ექსპლოატაციის მიზნით იჯარად აიღებს ან იჯარად გასცემს ბაღს, ვენახს და სხვა მისთ., კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება.

მეურნეობა კულაკურ მეურნეობად არ ჩაითვლება: ა) უკეთუ იჯარად აღებული ან იჯარად გაცემული ბაღის, ვენახისა და სხვა მისთ. ფართობი არ აღემატება უწყებულ სოფელში იმავე სანახების საშუალო ნორმას ერთ მეურნეობაზე, ან ბ) უკეთუ საწილადოდ იჯარად აღებული ბაღი, ვენახი და სხვა მისთ. მუშავდება დაქირავებული მუშა-ძალის გამოუყენებლად“.

გ) შეტანილ იქნას ახალი VIII[1] კარი შემდეგი შინაარსისა:

„VIII[1]. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება, უკეთუ იგი მიაქირავებს სადგომს საცხოვრებლად სახელმწიფო საწარმოს სპეკულატურ ფასად, რაც ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ ქირას აღემატება“.

3. 112 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „დასაბეგრი“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 8. № 85.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

42. დადგენილება ს.კ.ს.

„I და II საფეხურის სკოლების საჭიროებისათვის სახსრის შეკრეფისა და შემოსული სახსრის ხარჯვის თაობაზე“ გამოცემული 1933 წ. ივნისის 21-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სანებაყოფლო გამოსაღებთა შეგროვების ჩატარების წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 34 №-ი, მუხ. 295), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას 1933 წ. ივნისის 21-ის დადგენილება „I და II საფეხურის სკოლების საჭიროებისათვის სახსრის შეკრეფისა და შემოსული სახსრის ხარჯვის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-16 №-ი მუხ. 223).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 14. № 120.
ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

43. დადგენილება ს.კ.ს.

ტფილისის რაიონის კუმისის ტბის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონის დაწესების შესახებ.

კუმისის ტბის დაშრობისაგან დაცვისა და მისი სამკურნალო ტალახის წესიერად ექსპლოატაციის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას კუმისის ტბის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონა შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—ტფილის-კოჯრის გზატკეცილის ნაწილი ტფილისიდან მე-14 კილომეტრიდან მე-11-ე კილომეტრამდე; აღმოსავლეთით—ტფილის-კოჯრის გზატკეცილის მე-11 კილომეტრის ბოძიდან ხაზი, მიმავალი სოფ. ტაბახმელის დასავლეთით მდებარე პირველი ხევის სათავისაკენ; შემდეგ აღნიშნული ხევი, წალასკურის სერის მაღლობის ქედი და შემდეგ ტბის ამოქვაბულის ქვეშ გამავალი ხრამი, რომლის გაგრძელება, გადაკვეთავს-რა ტფილისერევნის რკინის გზის ხაზს, ადის იაღლუქის მთის ფერდობით 247 მაღლობამდე; სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით—იაღლუქის ქედი და დასავლეთით იაღლუქის ქედიდან მიმავალი ხაზი ტბის ზევით მდებარე დასავლეთი ხრამის მიმართულებით, აღნიშნული ხრამი და სოფ. ვაშლოვანის აღმოსავლეთით მდებარე ხევი და შემდეგ ვაშლოვანის ქედი, რომლის ბოლოს საზღვარი უერთდე-

ბა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 28-ს დაწესებული, კურორტ ბოჯომის სამთო-სასანიტარო დაცვის საზღვარს (საქ. სსრ კან. კრ. № 23, მუხ. 249).

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საზღვრებში მდებარე ყველა ის ფართობი, რაც დაფარულია ტყითა და ჯაგნარით, გამოცხადებულ იქნას საფარავ-საცავ ფართობებად და გადაეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს დაცვისა და სათანადო მეურნეობის მოწყობისათვის; ამასთანავე, საძოვრების სარგებლობის უფლება მიეცეს იმ სოფლებს, რომელთა საძოვრები მოჰყვა კუმისის ტბის სამთო-სასანიტარო დაცვის ზონის საზღვრებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. თებერვლის 8. № 70.
ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

44. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პერსონალური პენსიების დებულების მე-14 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პერსონალური პენსიების დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47)] მე-14 მუხლს—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 14-ის დადგენილების რედაქციით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-16 №-ი, მუხ. 229) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** იმ პირს, რომელიც იღებს რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე პერსონალურ პენსიას და რომელსაც არა აქვს სოციალური დაზღვევის წესით პენსიის მიღების უფლება, პერსონალური პენსია და ერთდროული დახმარება ეძლევა მთლად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით.

იმ პირს, რომელიც იღებს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე პერსონალურ პენსიას და რომელსაც არა აქვს სოციალური დაზღვევის წესით პენსიის მიღების უფლება, პერსონალური პენსია ეძლევა მთლად ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. თებერვლის 13. № 122/119.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

45. დადგენილება ც.ა.კ.

ამნისტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთმეტი წლის თავის აღსანიშნავად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთმეტი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I

1. სამ წლამდე—თანჩართვით თავისუფლების აღკვეთას მისჯილი პირნი, აგრეთვე ყოფილი წითელპარტიზანები და წითელგვარდიელები, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე თანჩართვით, და მცირეწლოვანი ბავშვების მყოლი და ორსული ქალები, რა ვადითაც უნდა ჰქონდეთ მათ თავისუფლების აღკვეთა მისჯილი,—განთავისუფლებულ იქნან პატიმრობისაგან და სასჯელის დამატებითი ღონისძიებისაგან, როგორიცაა უფლებათა შეზღუდვა, განდევნა და გადასახლება (საქართველოს სსრ ფარგლებიდან ან მისი რომელიმე ადგილიდან განდევნა), აგრეთვე დამატებით ღონისძიებათაგან ჯარიმის ან ქონების კონფისკაციის სახით, უკეთუ ეს უკანასკნელი ღონისძიებანი ფაქტიურად განხორციელებული არ არიან ამა დადგენილების გამოცემის მომენტამდე.

2. უფრო მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ან, ძირითადი სასჯელის სახით, გადასახლებას მისჯილი პირნი განთავისუფლებულ იქნან შემდგომი პატიმრობისაგან ან გადასახლებისაგან და აგრეთვე ამა კარის 1-ლ მუხლში აღნიშნულ დამატებით ღონისძიებათაგან—სასამართლოს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის ერთი მესამედის მოხდის შემდეგ.

3. განთავისუფლებელ იქნან განდევნისაგან ის პირნი, რომელთაც ეს განდევნა გადაეწყვიტათ როგორც ძირითადი სასჯელი, და აგრეთვე დამატებით ღონისძიებათაგან ჯარიმის ან ქონების კონფისკაციის სახით, უკეთი ეს უკანასკნელი ღონისძიებანი ფაქტიურად განხორციელებული არ არიან ამა დადგენილების გამოცემის მომენტამდე.

4. განთავისუფლებულ იქნან დამატებითი სასჯელისაგან განდევნისა და გადასახლების სახით ის პირნი, რომელთაც მოიხადეს ძირითადი სასჯელი.

5. განთავისუფლებულ იქნან შრომა-გასწორების (იძულებითი) სამუშაოებისაგან და ამა კარის მე-3 მუხლში აღნიშნული დამატებითი სასჯელისაგან ის პირნი, რომელთაც ეს გადაეწყვიტათ სასამართლოს წესით, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც დაპატიმრება შეეცვალათ შრომა-გასწორების სამუშაოებით. განთავისუფლებულ იქნან შრომა-გასწორების სამუშაოებისაგან ისინიც, ვისაც ეს დაენიშნა საადმინისტრაციო წესით.

6. მოეხსნათ უფლების ყოველგვარი შეზღუდვა და ნასამართლეობა სამ წლამდე—თანჩართვით თავისუფლების აღკვეთას მისჯილ პირთ, ხოლო ყოფილ წითელპარტიზანთ და წითელგვარდიელთ, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე—თანჩართვით, და მცირეწლოვანი ბავშვების მყოლ და ორსულ ქალებს, რა ვადითაც უნდა იყვნენ მისჯილნი, აგრეთვე სხვა, უფრო მსუბუქ სასჯელდადებულ პირთ, უკეთუ მათ მოიხადეს ძირითადი სასჯელი ან განთავისუფლებულ არიან ვადამდე ან ამა დადგენილების ძალით, აგრეთვე პირობითად მისჯილ პირთ.

7. მოიხსნას სადისციპლინო წესით დადებული ყველა გადასახდელი, რაც ჯერ აღსრულებული არ არის.

8. მოიხსნას სასამართლო და საადმინისტრაციო წესით დადებული და ამა დადგენილების გამოცემამდე გადაუხდევინებელი ჯარიმა ას მანეთამდე—თანჩართვით.

9. მოისპოს შემდგომი წარმოება სასამართლოებსა და საგამომძიებლო ორგანოებში აღძრული ყველა საქმისა ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე—თანჩართვით; ყველა საქმისა ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც ჩადენილია ყოფილი წითელპარტიზანებისა და წითელგვარდიელების მიერ და რისთვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე—თანჩართვით; ყველა საქმისა ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც ჩადენილია მცირეწლოვანი ბავშვების მყოლი და ორსული ქალების მიერ და რისთვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რა ვადითაც უნდა იყოს; ყველა საქმისა ისეთი დანაშაულის შესახებ, რისთვისაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შრომა-გასწორების სამუშაოები, ჯარიმა ას მანეთამდე ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, და აგრეთვე ყველა საქმისა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისა და სადისციპლინო დარღვევის შესახებ.

II

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შესაბამისად:

1. განთავისუფლებულ იქნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო ნაწილების ყველა სამხედრო მსახური მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების თანახმად დადებული გადასახდელისაგან და აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი, სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის დაწესებულებათა და საწარმოთა და კავშირგაბმულობის დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავენი რკინის გზის, წყლისა და კავშირგაბმულობის სადისციპლინო წესდებათა თანახმად დადებულ გადასახდელთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განთავისუფლებულ იქნას პატიმრობისაგან ყველა სამხედრო სმახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალისა, სახაზო სარკინისგზო და წყალ-სატრანსპორტო სასამართლოებისა, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო, სატრანსპორტო და წყალ-სატრანსპორტო კოლეგიების განაჩენით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო თათბირის დადგენილებით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე—თანჩართვით ან შრომა-გასწორების სამუშაოები ერთ წლამდე—თანჩართვით.

3. განთავისუფლებულ იქნას პატიმრობისაგან ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალისა, სახაზო სარკინისგზო და წყალ-სატრანსპორტო სასამართლოებისა, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო, სატრანსპორტო და წყალ-სატრანსპორტო კოლეგიების განაჩენით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო თათბირის დადგენილებით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან სამ წლამდე—თანჩართვით, ტრიბუნალის ან სასამართლოს განაჩენით ან და საგანგებო თათბირის დადგენილებით გადაწყვეტილი ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ.

4. განთავისუფლებულ იქნას დამატებითი სასჯელისაგან, სხვათა შორის უფლებათა სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვისაგან, ყველა სამხედრო მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალისა, სახაზო სარკინისგზო და წყალ-სატრანსპორტო სასამართლოებისა და სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო, სატრანსპორტო და წყალ-სატრანსპორტო კოლეგიების განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე—თანჩართვით ან უფრო მსუბუქი სასჯელი.

5. მოისპოს, წარმოების რა სტადიაშიაც უნდა იყოს, სამხედრო სმახურთა და სხვა მშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახები საქმეები, უკეთუ ეს საქმეები სამხედრო ტრიბუნალს ან სახაზო სარკინისგზო და წყალ-სატრანსპორტო სასამმართლოებს, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო, სატრანსპორტო და წყალ-სატრანსპორტო კოლეგიებსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საგანგებო თათბირს ექვემდებარება და უკეთუ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით ამ საქმეებზე გათვალისწინებულია სასჯელი არა უმეტეს ერთი წლისა—თანჩართვით.

III.

დადგენილება ესე ვრცელდება მარტოოდენ იმ მშრომლებზე, რომელთაც ჩაიდინეს 1936 წ. თებერვლის 25-მდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დანაშაული პირველად, იმისდამიუხედავად, თუ სად იხდიან მსჯავრდადებულნი მათთვის დანიშნულ სასჯელს, და იმ პირობით, უკეთუ ისინი, ამის გარდა, არ იხდიან სასჯელს სხვა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც მსჯავრი დაედვათ:

ა) იმ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებსა და კონტრრევოლუციურ ჯგუფებში მონაწილეობისათვის, რომლებიც მიმართულ არიან საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა, ძირის გამოთხრის ან დასუსტებისათვის, აგრეთვე ტეროორისტული აქტების, აფეთქების, ცეცხლის წაკიდებისა და მავნებლობისათვის;

ბ) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58¹-ა, 58¹-ბ, 58¹-გ და 58¹-დ მუხლებით გათვალისწინებული კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის;

გ) ჯაშუშობის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის, სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა-გადმოსვლისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულის გარდა), ყალბი ფულის გაკეთებისათვის, არაერთჯერ ქურდობისათვის, მსხვილფეხა საქონლის გატაცებისა, მექრთამეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისათვის;

დ) იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებით „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360);

ე) ქალის მოკვლისათვის ქალთა მონობისაგან განთავისუფლების საწინააღმდეგო მოქმედების ნიადაგზე;

ვ) ქალის მოტაცებისათვის (სისხლ. სამ. კოდ. 162 მუხ.), სქესობრივი კავშირისათვის სქესობრივად მოუმწიფებელ პირებთან (167 მუხლი), მამათმავლობისათვის (168 მუხ.), მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა გარყვნისათვის (169), სქესობრივი ძალადობისათვის (170 მუხ.), ქალის იძულებისათვის, რომ მას სქესობრივი კავშირი დაეჭირა ისეთ პირთან, ვიზედაც იგი დამოკიდებული იყო მატერიალურად ან სამსახურის გამო (171 მუხ.), სქესობრივი კავშირის მიზნით ქალის შეცდენისათვის (171¹ მუხ.), პროსტიტუციის მიზნით იძულებისათვის, მაჭანკლობისათვის, გარყვნილების ბუდის მოწყობა-შენახვისათვის და პროსტიტუციის მიზნით ქალების მოგროვებისათვის (172 მუხ.);

ზ) იმ საყოფაცხოვრებო დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო დანაშაულთა დებულების 1-ლი, მე-4 და 5 მუხლებით (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი);

თ) სახელმწიფო ხურდა ფულის გადადნობისათვის და საწარმოო მიზნით გამოყენებისათვის (სისხლ. სამ. კოდ 70¹-მუხ.), ბოროტული ხულიგნობისათვის (75 მუხ. მე-2 ნაწ.), სპეკულაციისათვის (142 მუხ.), მდარე ხარისხის პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოშვებისათვის (143² მუხ.), განზრახი მკვლელობისათვის (144 მუხ.), ძარცვისათვის (181 მუხ.), ისეთი თაღლითობისათვის, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ზარალი (183 მუხ. მე-2 ნაწ.).

V.

1. ამა ამნისტიის განხორციელება როგორც იმ პირთა მიმართ, ვისაც მსჯავრი დაედვა საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ, ისე იმ პირთა მიმართ, ვინც გამოძიებასა და სამართალში მიცემული და აგრეთვე ვისაც საადმინისტრაციო გადასახდელი დაედვა, დაეკისროს სასამართლოსა და პროკურატურის სათანადო ორგანოებს და აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს—კუთვნილებისამებრ, იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) უფროსთან შეთანხმებით.

2. ამა ამნისტიის განხორციელება იმ პირთა მიმართ, ვისაც მსჯავრი დაედვა საკავშირო ქვემდებარეობის სასამართლო ორგანოთა მიერ, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, ვინც გამოძიებასა და სასამართლოშია მიცემული აღნიშნულ ორგანოთა ქვემდებარეობის საქმეებზე, დაეკისროთ, კუთვნილებისამებრ, სათანადო სასამართლო დაწესებულებებს და პროკურატურის ორგანოებს.

3. ამა ამნისტიის შეფარდება დამთავრებულ იქნას 1936 წ. მარტის 25-მდე.

4. ზედამხედველობა ამნისტიის სისწორით შეფარდებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ პროკურორს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. თებერვლის 24. № 120.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 47 №-ში 1936 წ. თებერვლის 26.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 11. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 7/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III; ტირაჟი 1900

თავლ. რწმ. № 83042 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 221